




Funded by
the European Union



SOCIAL
JUSTICE
CENTER

**AMENDMENTS TO THE LAW ON SPECIAL INVESTIGATION SERVICE
AND LAW ON PERSONAL DATA PROTECTION INCOMPLETELY
REFLECT THE VENICE COMMISSION'S RECOMMENDATIONS**



დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის, „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“, ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონებში შესატანი ცვლილებები არასრულად ასახავს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს

2024 წლის 21 თებერვალს, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებმა დაინიჭირეს ცვლილებები „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონებში. კანონპროექტები მესამე მოსმენით პარლამენტმა 2024 წლის 29 მაისს მიიღო.¹ განმარტებითი ბარათების თანახმად, ცვლილებები ემსახურება 2023 წლის 8 ნოემბერს, ევროკომისიის მიერ გაფართოების პოლიტიკის შესახებ მომზადებულ კომუნიკაციაში, საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას.

ევროკომისიის ანგარიში განსაზღვრავს 9 პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლებიც საქართველომ უნდა შეასრულოს ევროინტეგრაციის პროცესში შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად.² დოკუმენტის მე-7 პუნქტი ითვალისწინებს ანტიკორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ეფექტიანობისა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების მოთხოვნას.³ ევროკომისია განმარტავს, რომ პროცესი უნდა იყოს ინკლუზიური და ემსახურებოდეს ამ ინსტიტუციების მიმართ „ევროპული კომისიის სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად“ (შემდგომში - ვენეციის კომისია) მიერ გაცემული რეკომენდაციების კანონმდებლობაში ასახვას.⁴

წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატების მიერ ინიცირებული კანონპროექტების შესაბამისობას ვენეციის კომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან, ევროკომისიის მიერ განსაზღვრული მე-7 პრიორიტეტის შესრულების კონტექსტში. ამავე რეკომენდაციის ფარგლებში, შემუშავდა ცვლილებები ანტიკორუფციული ბიუროს მოწყობის თაობაზე, თუმცა სოციალური სამართლიანობის ცენტრის სამუშაო ფარგლებიდან გამომდინარე, დოკუმენტში ეს საკითხი არაა გაანალიზებული.

კანონპროექტი მხოლოდ ნაწილობრივ ეხმიანება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. რიგ შემთხვევებში, შემოთავაზებული ცვლილებები ფრაგმენტულია და ვერ უზრუნველყოფს სპეციალური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურების (შემდგომში სამსახურები) დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის ზრდას.

პროცესის ინკლუზიურობა და პოლიტიკური განცხადებები

პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის, განცხადებით, კანონპროექტები მიზნად ისახავდა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების კანონმდებლობაში ასახვას.⁵ ამის პარალელურად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა,

¹ საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/3e52tuni>, განახლებულია: 29.05.2024.

² ევროკომისიის 2023 წლის კომუნიკაცია გაფართოების პოლიტიკის შესახებ (ამონარიდი საქართველოს შესახებ), ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/5xhaf3z9>, განახლებულია: 12.03.2024.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ „შალვა პაპუაშვილი - მადლობას ვუხდით იურიდიულ კომიტეტს, რომ ეფექტიანად მოხდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის შესახებ კანონპროექტების ინიცირება“, ინტერპრესნიუსი, 26.02.2024, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/mwraycme>, განახლებულია: 12.03.2024.

მოგვიანებით განაცხადა, რომ „ზოგადად მაღალი ლეგიტიმაციის კონსტიტუციური ორგანოს გამოსაძიებელ საქმეს არ უნდა იძიებდეს უფრო ნაკლები ლეგიტიმაციის მქონე სამსახური“⁶. აღნიშნული განცხადება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ პროკურატურის ჩადენილი დანაშაულების გამოძიების კომპეტენციას შეეხებოდა. მან იქვე აღნიშნა, რომ „ჩვენ ერთ დღეს დავდგებით, ალბათ, იმის წინაშე და შეიძლება ერთ დღეს მოგვიწიოს იმ გადაწყვეტილების მიღება, რომ ეს სამსახურები იყო დროებითი და დაუბრუნდეს კონსტიტუციურ ჩარჩოს - პროკურატურას. კონსტიტუციური ლოგიკა ამას გვეუბნება, უბრალოდ, ახლა გვაქვს გარკვეული გამონაკლისი. ამ გამონაკლისის კიდევ გაფართოება მე არ მიმაჩნია მიზანშეწონილად“⁷.

არსებული ფორმით, აღნიშნული სამსახურები 2021 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა. იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლის ცვლილებები დაჩქარებული წესით, უპრეცედენტოდ მოკლე დროში, საზოგადოებრივი განხილვებისა და პლურალისტური პროცესების გარეშე განხორციელდა, ვენეციის კომისიამ თავის დასკვნაში ახლად შექმნილი ინსტიტუტების ლეგიტიმაციისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ხაზი გაუსვა საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით ინკლუზიური პროცესების წარმართვის საჭიროებას. ამის მიუხედავად, მმართველმა პარტიამ არათუ არ გამოიყენა შესაძლებლობა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პროცესში კონსულტაციები გაეარა სხვადასხვა აქტორთან და ახლად შექმნილი ინსტიტუტების დამოუკიდებლობის გაძლიერების შესაძლებლობები უფრო ფართოდ განეხილა, არამედ, ფაქტობრივად, ინსტიტუტების გაუქმების შესაძლებლობა დააანონსა ცვლილებების განხილვის პარალელურად. ამდენად, საკანონმდებლო ცვლილებების თანმხლები რიტორიკა მიანიშნებს, რომ ხელისუფლება არ აპირებს ვენეციის კომისიისა და ევროკავშირის შესაბამისი რეკომენდაციის არსებითად გათვალისწინებას და ამ ორგანოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

ინიცირებული კანონპროექტების შესაბამისობა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან

კანონპროექტების თანახმად, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონებში სხვადასხვა ტიპის ცვლილება შედის, რომლებიც შეეხება ამ უწყებების ანგარიშვალდებულებას, მათი უფროსის დანიშვნის პროცედურასა და გადაწყვეტილების მიღების წესს (კვორუმს), ასევე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატის გავრცელებას პროკურორების მიერ ჩადენილ ზოგიერთ დანაშაულზე. შემოთავაზებული ცვლილებები იზიარებს ვენეციის კომისიის მიერ გაცემულ რამდენიმე რეკომენდაციას, თუმცა უგულებელყოფს რიგ მნიშვნელოვან შემოთავაზებებს, რომლებიც სამსახურების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასა და ეფექტიანობას გააძლიერებდა. წინამდებარე თავი მიმოიხილავს თითოეული შემოთავაზებული ცვლილების შესაბამისობას ვენეციის კომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან. იქიდან გამომდინარე, რომ ინიცირებული ცვლილებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ კანონებში იდენტურია, ხოლო მათ შორის განსხვავება შეეხება მხოლოდ

⁶ „ანრი ოხანაშვილი - ზოგადად მაღალი ლეგიტიმაციის კონსტიტუციური ორგანოს გამოსაძიებელ საქმეს არ უნდა იძიებდეს უფრო ნაკლები ლეგიტიმაციის მქონე სამსახური“, ინტერპრესნიუსი, 04.03.2024, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/3hbm87rk>, განახლებულია: 12.03.2024.

⁷ იქვე.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობის საკითხს, წინამდებარე თავში გადმოცემული შეფასებების ყველა დარჩენილი პუნქტი მიემართება ორივე სამსახურს.

პირველი ცვლილების თანახმად, სამსახურები უფლებამოსილნი იქნებიან საკუთარი ინიციატივით, ნებისმიერ დროს გამოაქვეყნონ სპეციალური ანგარიში იმ საკითხებზე, რომლებიც მათ საქმიანობას უკავშირდება და მნიშვნელოვნადაა მიჩნეული.

ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ სამსახურები მსგავსად „სახელმწიფო ინსპექტორის“ ინსტიტუტისა, მისი მანდატის ფარგლებში, წარმოადგენენ ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ მექანიზმს. მსგავსი ინსტიტუტების მუშაობის მთავარი პრინციპი უნდა იყოს პოლიტიკური ხელისუფლებისგან სრული დამოუკიდებლობა, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ის კონსტიტუციურ ორგანოს.⁸ მისასაღმებელია, რომ კანონპროექტით, სამსახურებს ენიჭება უფლებამოსილება შეიმუშავოს არამხოლოდ წლიური ანგარიში საკანონმდებლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, არამედ სპეციალური ანგარიშიც, რომელიც ემსახურება შემოწმების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებების გამოქვეყნებას კონკრეტულ, მნიშვნელოვან პრობლემაზე.⁹ ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ ექსპერტულ ორგანოს, რომელსაც გააჩნია ზედამხედველობის ფუნქცია, წლიური ანგარიშის მიღმა, უნდა შეეძლოს სპეციალური ანგარიშის შემუშავებაც.¹⁰ ამასთან, ინსტიტუტის საქმიანობის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, ანგარიშის გამოქვეყნების საკითხს არ უნდა აკონტროლებდეს ხელისუფლება. შესაბამისად, კანონპროექტით გათვალისწინებულია ვენეციის კომისიის ის რეკომენდაცია, რომელიც სამსახურებს უფლებამოსილებას ანიჭებს გამოაქვეყნონ სპეციალური ანგარიში იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება მათ საქმიანობას და მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის.

სპეციალური ანგარიშის შემუშავების საკანონმდებლო გარანტიის შექმნის პარალელურად, აუცილებელია, რომ სამსახურებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მოხსენებით წარდგენენ პარლამენტის ან თემატური კომიტეტის წინაშე მიგნებებისა და რეკომენდაციების საკანონმდებლო ორგანოსთვის გაცნობის მიზნით.

მეორე ცვლილება შეეხება საკონკურსო კომისიების დაკომპლექტების წესს. შემოთავაზებული ვერსიით, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირის შერჩევის წესი (ორივე სამსახურის შემთხვევაში) მარტივდება. ცვლილების თანახმად, სახალხო დამცველს დია კონკურსის გარეშე შეეძლება საკონკურსო კომისიისთვის იმ წევრის შერჩევა, რომელსაც აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება.

სამსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობა განსაზღვრავს კონკურსის კომისიის შემადგენლობას, რომელიც შეარჩევს პრემიერ-მინისტრის მიერ პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატებს. ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ პრობლემურია კომისიაში ზოგიერთი თანამდებობის პირის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობა. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მთავარი ფუნქცია სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების

⁸ European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Opinion “On the Law on The Special Investigation Service and on The Provisions of the Law on Personal Data Protection concerning The Personal Data Protection Service”, 137th Plenary Session, 15-16 December, 2023, para. 43.

⁹ საქართველოს კანონის პროექტი (07-3/417/10; 21/02/2024), ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/28122>, განახლებულია: 12.03.2024.

¹⁰ Venice Commission, პარა. 72.

ზედამხედველობაა, შესაბამისად, კომისიის შემადგელობაში მთავრობისა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის საქმიანობა სათუთა, რადგან იერარქიულად სწორედ მათ ექვემდებარება ის უწყებები, რომელთაც მონიტორინგს სპეციალური საგამოძიებო სამსახური უწევს. ვენეციის კომისიის აზრით, ნაცვლად გენერალური პროკურორის პირველი ან მეორე მოადგილისა, კომისიის შემადგელობაში სასურველია სამოქალაქო საზოგადოების წევრის შეყვანა. მსგავსი მოწყობა დააბალანსებდა კომისიის შემადგენლობას, რადგან არსებული კანონმდებლობით, მთავრობის, პარლამენტარებისა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები კომისიაში უპირატესობას ქმნიან.¹¹ ამ ნაწილში, მთავარი რეკომენდაცია სწორედ გენერალური პროკურატურის პირველი ან მეორე მოადგილის კომისიის შემადგენლობიდან ამოღებაა, რაც მოცემული კანონპროექტით გათვალისწინებული არ არის. ერთადერთი ცვლილება, რომელიც კომისიის დაკომპლექტების წესში შედის, უკავშირდება სახალხო დამცველის მიერ ნომინირებული წევრის შერჩევის წესს. ღია კონკურსის მიღმა, ომბუდსმენს შესაძლებლობა უჩნდება, კონკურსს გარეშე შეარჩიოს კომისიაში შემავალი პირი სამოქალაქო საზოგადოებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილება პირდაპირ ეხმიანება ვენეციის კომისიის რეკომენდაციას.¹² მიუხედავად ამისა, უცვლელი რჩება ის ნორმა რომელიც კომისიის შემადგენლობაში ითვალისწინებს მთავრობის წარმომადგენლის არსებობას. შესაბამისად, მოცემული ცვლილება ვერ უზრუნველყოფს ვენეციის კომისიის იმ არსებითი რეკომენდაციის შესრულებას, რომელიც ერთი მხრივ, გამორიცხავდა ინტერესთა კონფლიქტს, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებათა დაცვაში ჩართული ჯგუფების პლურალისტურ წარმომადგენლობას საკონკურსო კომისიაში.¹³ მნიშვნელოვანია, რომ შერჩევის პროცესი იყოს კომპეტენციაზე დაფუძნებული, გამჭვირვალე და მონაწილეობითი. მსგავს მოთხოვნებს ინიცირებული კანონპროექტი ვერ პასუხობს.

შესაძლებელია შეეხება კომისიის დაკომპლექტების ვადებსა და მისი მუშაობის წესს (ორივე სამსახურის შემთხვევაში). შემოთავაზებული ვერსიით, სამსახურების უფროსების შესარჩევი საკონკურსო კომისიისთვის წევრების ვინაობა პრემიერ-მინისტრს ეცნობება უფროსის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუადრეს 14 კვირისა (ნაცვლად 11 კვირისა) და არაუგვიანეს 12 კვირისა (ნაცვლად 10 კვირისა), ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან 2 კვირის (ნაცვლად 1 კვირის) ვადაში. ამასთან, პრემიერ-მინისტრს შეეძლება მოიწვიოს პირველი სხდომა, თუ ყველა წევრის ვინაობა ვადაზე ადრე გახდა ცნობილი. სხვა შემთხვევაში, უცვლელი რჩება ძველი წესი, რომლის მიხედვითაც საკონკურსო კომისიის წევრთა წარდგენის ვადის გასვლიდან 7 დღეში ის მოიწვევს საკონკურსო კომისიის პირველ სხდომას. კანონპროექტის თანახმად, საკონკურსო კომისიის მიერ შემუშავებული დებულება საჯაროდ ქვეყნდება.

შემოთავაზებული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და მუშაობის წესის შესაბამისობას ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან. ცვლილება მხოლოდ ვადების ნაწილში ითვალისწინებს რეკომენდაციებს, თუმცა უგულებელყოფილია პრინციპული მნიშვნელობის შემოთავაზებები საკონკურსო კომისიის დამოუკიდებლობისა და ინკლუზიურობის გაზრდაზე. ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ საკონკურსო კომისიის დებულება და მასში შემავალი პროცედურები/წესები უნდა დარეგულირდეს კანონის დონეზე და

¹¹ იქვე, პარა. 53.

¹² იქვე, პარა. 63.

¹³ იქვე, პარა. 52.

ინტერპრეტაციას არ ექვემდებარებოდა ყოველი ახალი კომისიის შექმნისას.¹⁴ ამასთან, სამსახურების უფროსების მოადგილეების მნიშვნელოვანი ფუნქციებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მათი შერჩევა-დანიშვნის კრიტერიუმები განისაზღვროს ამავე კანონმდებლობით. შემოთავაზებული ცვლილებები არ ითვალისწინებს ამ რეკომენდაციებს და დებულების შემუშავებას კომისიის ხელში ტოვებს. მისასალმებელია, რომ შემუშავებული დებულება ქვეყნდება საჯაროდ, რაც მეტად გამჭვირვალეს ხდის კომისიის მუშაობას.

მეოთხე ცვლილებით, სამსახურების უფროსების შესარჩევი საკონკურსო კომისია სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით შეარჩევს სამსახურების უფროსების არანაკლებ 2 და არაუმეტეს 5 კანდიდატურას და მათ წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. შერჩეული კანდიდატურების რაოდენობის გათვალისწინებით, მაქსიმალურად თანაბრად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სხვადასხვა სქესის კანდიდატების წარდგენა.

მისასალმებელია, რომ შემოთავაზებული ცვლილებებით იზრდება კომისიაში გადაწყვეტილების მიღების კვორუმი. კერძოდ, ნაცვლად დამსწრეთა უმრავლესობისა, წარსადგენ კანდიდატებს საკონკურსო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით შეარჩევს. კანონპროექტის ეს პუნქტი ასახავს ვენეციის კომისიის რეკომენდაციას, რომელიც მიიჩნევს, რომ დაბალი კვორუმი აჩენს რისკს, გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან გამოირიცხოს დამოუკიდებელი და გარეშე აქტორები.¹⁵ თუმცა, ვენეციის კომისიის წინარე რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე, ეს ცვლილება პრინციპულად არ ცვლის კომისიაში გადაწყვეტილების მიღების ლოგიკას. მოქმედი რედაქციით, საკონკურსო კომისიაში შედიან: მთავრობის წარმომადგენელი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ასევე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ან მოადგილე, საქართველოს სახალხო დამცველი ან საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი, ასევე, სახალხო დამცველის მიერ ნომინირებული პირი სამოქალაქო საზოგადოებიდან.

მსგავსი მოწყობის არსებობისას, თუ არ იქნება გათვალისწინებული კომისიის დაკომპლექტების წესის შესახებ რეკომენდაციები, კვორუმის ამგვარად განსაზღვრა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს წარმომადგენლობითობას და გარეშე, დამოუკიდებელი აქტორების ხმის გაძლიერებას. შესაბამისად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად გასაზიარებლად, აუცილებელია, გამოირიცხოს მთავრობისა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის მონაწილეობა საკონკურსო კომისიაში, გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი კვორუმის გაზრდის პარალელურად.

მეხუთე ცვლილება შეეხება სამსახურების უფროსების იმუნიტეტის მოხსნას. პარლამენტი თანხმობას გაცემს სამსახურების უფროსების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, დაკავებას ან დაპატიმრებაზე, მათი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირად გაჩხრეკაზე, ნაცვლად დამსწრეთა უმრავლესობისა, პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს გადაანდობს სამსახურების უფროსების იმუნიტეტის მოხსნის საკითხს. რეგლამენტის მიხედვით, იმუნიტეტის

¹⁴ იქვე, პარა. 59.

¹⁵ იქვე, პარა. 56.

მოხსნაზე ვრცელდება პარლამენტის დადგენილების მიღების წესი. ეს კი გულისხმობს, რომ პარლამენტი თანხმობას გასცემს იმუნიტეტის მოხსნაზე იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებას ეთანხმება პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, არანაკლებ 1/3-ისა. შემოთავაზებული ვერსიით, ცვლილება შეეხება იმუნიტეტის მოსახსნელად საჭირო ხმათა ოდენობას. პარლამენტი გადაწყვეტილებას მიიღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ანუ 76 ხმით, ნაცვლად 51-ისა. ცვლილება აისახება როგორც სპეციალურ კანონებში, ასევე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში.

კანონპროექტის ეს პუნქტი იზიარებს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. სამსახურების უფროსებისთვის იმუნიტეტის მოხსნა დაკავშირებულია მათი უფლებამოსილების შეწყვეტასთანაც, შესაბამისად, დაუშვებელია, რომ იმუნიტეტის მოსახსნელად საჭირო ხმების რაოდენობა იმაზე ნაკლები იყოს, ვიდრე თანამდებობაზე დანიშვნას სჭირდება. ამრიგად, მისასაღებელია ის ცვლილება, რომელიც 51-დან 76-მდე ზრდის იმუნიტეტის მოხსნისათვის საჭირო ხმების რაოდენობას.¹⁶

თუმცა, არც ამ ნაწილშია სრულად გათვალისწინებული ვენეციის კომისიის რეკომენდაცია, სადაც მითითებულია, რომ მსგავსი ტიპის ინსტიტუტების დამოუკიდებლობის გარანტი სამსახურის უფროსთან ერთად, მისი მოადგილეებისა და გადაწყვეტილების მიმღები თანამშრომლებისთვის იმუნიტეტის უზრუნველყოფაა. ვენეციის კომისიის მოსაზრებით, არ არის აუცილებელი, თანამშრომლებზე გავრცელდეს იმუნიტეტის მოხსნის იდენტური პროცედურა, რომელიც მოქმედებს სამსახურის უფროსის მიმართ. თუმცა აუცილებელია, რომ მათსა და მოადგილეებს ჰქონდეთ ხელშეუხებლობის გარანტიები.¹⁷

მეექვსე ცვლილების თანხმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი ფართოვდება და მის ქვემდებარებაში ექცევა პროკურორების მიერ ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულის გამოძიებაც.

მოქმედი კანონმდებლობით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ფუნქციები არ ვრცელდება პროკურორების მიერ ჩადენილ ზოგიერთ დანაშაულზე.¹⁸ შემოთავაზებული ცვლილებები პროკურორის მიერ ჩადენილ ამ დანაშაულების გამოძიებას სამსახურის მანდატს

¹⁶ იქვე, პარა. 67.

¹⁷ იქვე, პარა. 68-71.

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა), 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამზიმებელ გარემოებაში), 111-ე (განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში), 113-ე–118-ე (მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, თვითმკვლელობამდე მიყვანა, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება), 120-ე–124-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით), 126-ე (ძალადობა), 126¹ (ოჯახში ძალადობა), 137-ე – 139-ე (გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება), 143-ე–144-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ადამიანით ვაჭრობა (ტრენიფიკინგი), არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა, მძევლად ხელში ჩაგდება) და 150-ე–151¹ (იძულება, ქორწინების იძულება, მუქარა, ალყენება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული.

უქვემდებარებს. ეს ცვლილება შეესაბამება ვენეციის კომისიის რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც, დაუსაბუთებელია პროკურორების მიერ ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულის გამორიცხვა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობიდან.¹⁹

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო მანდატის გარშემო, რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, რომელიც შემოთავაზებული ცვლილებებით გათვალისწინებული არ არის. ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია სამსახურის ფოკუსი სრულად სამართალდამცავი ორგანოების გამოძიებით შემოიფარგლოს და მაქსიმალურად გამოირიცხოს მის ქვემდებარეობაში ისეთი დანაშაულის მოცვა, რომელიც უკავშირდება ინდივიდების მიერ ჩადენილ ქმედებებს.²⁰ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის ანალიზიდან ირკვევა, რომ მის მიერ გამოძიებული დანაშაულის მხოლოდ ნახევარ შემთხვევაში იყო სავარაუდო დამნაშავე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი. ინსტიტუტის ბუნებიდან გამომდინარე, ვენეციის კომისია ემხრობა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატის სრულად სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილ დანაშაულზე გავრცელებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს არამხოლოდ პროკურორების, არამედ სამართალდამცავი ორგანოების მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების სამსახურს დაქვემდებარებას.

პრობლემურია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი არ ვრცელდება შინაგან საქმეთა მინისტრზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსსა და გენერალურ პროკურორზე. მოქმედ კანონმდებლობაში, პრობლემადაა შეფასებული ისიც, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობაში შემავალი სისხლის სამართლის დანაშაულის განმსაზღვრელი ნორმები არაერთგვაროვანია. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში, დაკონკრეტებულია ვის მიერ უნდა იყოს ჩადენილი დანაშაული (სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ), სხვა შემთხვევებში კი არა.

ვენეციის კომისიის ის რეკომენდაციები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონპროექტში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან მიმართებით

შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას. ამ მიმართულებით ვენეციის კომისია გამოყოფს ორ განსაკუთრებულად პრობლემურ საკითხს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან რეაგირებას საჭიროებს. ესენია: პროკურატურის ფართო უფლებამოსილებები სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული საქმეების გამოძიებაში²¹ და სამართალდამცავი ორგანოების მაღალი თანამდებობის პირების გამორიცხვა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციიდან.²²

მოქმედი საკანონმდებლო ჩანაწერის თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული საქმეების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურატურის

¹⁹ Venice Commission, პარა. 92.

²⁰ იქვე, პარა. 95-96.

²¹ იქვე, პარა. 78.

²² იქვე, პარა. 90-92.

უფლებამოსილებებს მიეკუთვნება. პროკურორი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას არა მხოლოდ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, არამედ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის მისი გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებაც.²³ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შეუძლია დასაბუთებული წინადადებით მიმართოს საქმის ზედამხედველ პროკურორს საქმის გადაცემის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, შეწყვეტისა და სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიების გამოყენების საჭიროების შესახებ, უარის მიღების შემთხვევაში კი იგივე დასაბუთებული წინადადება გენერალურ პროკურორთან გადაამისამართოს, თუმცა საბოლოოდ გადაწყვეტილებას გენერალური პროკურორი იღებს.²⁴

ამდენად, გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება პროკურატურის ხელშია. ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შექმნის მიზნების ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელია, კანონმდებლობამ უზრუნველყოს მისი **პროკურატურისგან დამოუკიდებლობა როგორც ინსტიტუციური, ისე ფუნქციური თვალსაზრისით.**²⁵ ამ მიზნით, შესაძლო გამოსავლად შემოთავაზებულია სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის საპროკურორო, ასევე გამოძიების დაწყების, შეწყვეტისა და საქმეების საკუთარ ქვემდებარეობაში გადმოტანის უფლებამოსილებების მინიჭება.²⁶ ამ რეკომენდაციის გაზიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებითაც, რომ შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენცია გავრცელდება პროკურორების მიერ ჩადენილ დანაშაულებზეც. თუმცა, იმ პირობებში, როცა სპეციალური საგამოძიებო სამსახური საპროცესო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სრულად დამოკიდებული რჩება პროკურატურაზე, იზრდება ინტერესთა კონფლიქტის რისკებიც.

ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასა და ეფექტიანობას ასევე ხელს უშლის მისი შეზღუდული კომპეტენცია. კერძოდ, სამსახურს არ აქვს უფლება, გამოიძიოს შინაგან საქმეთა მინისტრის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და გენერალური პროკურორის მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულები.²⁷ **მაღალი რანგის თანამდებობების პირების** გამორიცხვა იმ ინსტიტუტის იურისდიქციიდან, რომლის მთავარი მიზანი სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილი დანაშაულების ეფექტური გამოძიებაა, ძირს უთხრის ამ ორგანოს სადამფუძნებლო მიზნებს და საქმიანობის რეალურ ეფექტურობას ხელმძღვანელ პირებზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატის გავრცელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების მკაცრად იერარქიული სტრუქტურის გათვალისწინებითაც, რადგან ამგვარი მოწყობა ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისთვის და ზრდის შესაძლო უკანონო ქმედებებში მათი ჩართულობის ალბათობას.

ვენეციის კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების დროს მათ გენერალური პროკურორის მიერ ჩადენილი დანაშაულების სპეციალური საგამოძიებო სამსახურის იურისდიქციიდან გამორიცხვა იმით ახსნეს, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ის იმპიჩმენტს ექვემდებარება, რა დროსაც შესაძლო

²³ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი.

²⁴ იქვე, მე-5 - მე-7 პუნქტები.

²⁵ Venice Commission, პარა. 80.

²⁶ იქვე, პარა. 85.

²⁷ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

დანაშაულის შესახებ დასკვნას პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლო მიაწვდის.²⁸ ვენეციის კომისია ამ არგუმენტს არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია დეტალურად არ განსაზღვრავს იმპიჩმენტის პროცედურის ნაბიჯებს და კონკრეტულად არ ასახელებს სუბიექტს, რომელმაც დასკვნის მომზადებისა თუ გამოძიების ეტაპზე საჭირო ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეაგროვოს, სასურველია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ეს ფუნქცია სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა (და არა პროკურატურამ) შეასრულოს, რათა ინტერესთა შესაძლო კონფლიქტი თავიდან იქნას არიდებული.²⁹ ზოგადად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის შექმნის მთავარი მიზანია სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება, შესაბამისად, ამ მიზანთან დაკავშირებული ყველა პროცესის წარმართვის უფლებამოსილება, მათ შორის ხელმძღვანელი პირების მიმართ, სწორედ სპეციალური სამსახურის ხელში უნდა იყოს და მისი საქმიანობისთვის რელევანტურად არ უნდა ჩაითვალოს კონკრეტული ხელმძღვანელი პირი რამდენად ექვემდებარება იმპიჩმენტის წესით გადაყენებასა თუ სხვა სპეციალურ პროცედურას.

გარდა აღნიშნულისა, ცვლილებების პაკეტი არ ითვალისწინებს ვენეციის კომისიის სხვა მნიშვნელოვან რეკომენდაციებს. აქედან ერთ-ერთი მიემართება „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ კანონში არსებულ ერთ-ერთ ჩანაწერს,³⁰ სადაც ჩამოთვლილია სსკ-ის მუხლები, რომლებზეც ასევე ვრცელდება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი, თუმცა, სხვა ქვეპუნქტებისგან განსხვავებით, არ არის დაკონკრეტებული, რომ დანაშაული სავარაუდოდ ჩადენილი უნდა იყოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ. ვენეციის კომისია რეკომენდაციას უწევს დაზუსტებას, რომ ეს დანაშაულები გამოძიებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ ისინი **სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ** არის ჩადენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩანაწერი გაცდება სამსახურის საქმიანობის მიზნებს.³¹

ვენეციის კომისიის კიდევ ერთი რეკომენდაცია მიემართება „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ კანონის იმ ჩანაწერს, რომელიც სამსახურის ქვემდებარეობაში აქცევს ისეთ დანაშაულებს, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტს.³² კომისია რეკომენდაციას უწევს კანონმდებლობით იმის დაკონკრეტებას, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურს აქვს იმის უფლებამოსილება, რომ თავადვე განსაზღვროს ამგვარი საქმეების რიგი, რადგან ამ ეტაპზე ამის უფლება პროკურორის ხელში რჩება³³

²⁸ Venice Commission, პარა. 89.

²⁹ იქვე, პარა. 90.

³⁰ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის ქვემდებარეობა ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე-159-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე. ეს დანაშაულებია: სიტყვის თავისუფლების ხელყოფა (მუხლი 153-ე), ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 154-ე), რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 155-ე), დევნა (მუხლი 156-ე), პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა (მუხლი 157-ე), პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა (მუხლი 157¹-ე), კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა (მუხლი 158-ე), პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა (მუხლი 159).

³¹ Venice Commission, პარა. 97.

³² „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

³³ Venice Commission, პარა. 98.

საკანონმდებლო ცვლილებებმა ასევე არ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის ის რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, მისი საგამოძიებო ფუნქციების გათვალისწინებით, უნდა შეამოწმოს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან **ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების** კანონიერება და სასამართლოს მიერ გაცემულ თავდაპირველ ნებართვასთან მათი შედეგების შესაბამისობა.³⁴

ვენეციის კომისიის ის რეკომენდაციები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონპროექტში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან მიმართებით

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მსგავსად, კანონპროექტი არც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შემთხვევაში ითვალისწინებს ვენეციის კომისიის მნიშვნელოვან რეკომენდაციებს, რომლებიც სამსახურის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, ინტერესთან შეუთავსებლობის რისკების აღმოფხვრასა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ეფექტიან მონიტორინგს უკავშირდება.

ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, ორივე სამსახურის შემთხვევაში იდენტურად არის განსაზღვრული სამსახურის უფროსის შესარჩევი კონკურსის ჩატარების პროცედურა, მისი გათავისუფლების საფუძვლები, აგრეთვე იმუნიტეტთან დაკავშირებული საკითხები. შესაბამისად, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან მიმართებით კომისიის მიერ წარმოდგენილი შეფასებები და რეკომენდაციები მეტწილად რელევანტურია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შემთხვევაშიც. ამასთან, ვენეციის კომისია დამატებით აფასებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ რამდენიმე ძირითად ასპექტს.³⁵ დასკვნაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებს.

2021 წლის მოსაზრებების მსგავსად, ვენეციის კომისია მოცემულ დასკვნაშიც პრობლემურად აფასებს 2021 წლის სექტემბერში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ე.წ. „კრებსების“ გასაჯაროებას და ზოგადად, პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით საქართველოში არსებულ მდგომარეობას. კომისიის განმარტებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას პროპორციულობის პრინციპის დარღვევამ შეიძლება გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, არამედ გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტებზეც (განსაკუთრებით ჟურნალისტების საქმიანობის კონტექსტში). მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლო კონტროლს ამ მოქმედებებზე, თუმცა ეს კონტროლი, ძირითად შემთხვევაში, არ არის ეფექტიანი. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ დაუდგენია უფლების დარღვევა სასამართლო კონტროლის შეზღუდული ფარგლების გამო. სასამართლო განხილვა არ უნდა იყოს ფორმალური ხასიათის და მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ „გონივრული ეჭვის“ მიღმა კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს.³⁶ აღნიშნულის გათვალისწინებით, ვენეციის

³⁴ იქვე, პარა. 107.

³⁵ იქვე, პარა. 100.

³⁶ იქვე, პარა. 105.

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე საზედამხედველო კონტროლის განხორციელების დამატებითი მექანიზმების დანერგვას.³⁷

ვენეციის კომისიის შეფასებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების კანონიერებაზე კონტროლის ფუნქციის მინიჭება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთვის უჩვეულოა, ვინაიდან ის არ არის შემხებლობაში სამსახურის სხვა კომპეტენციებთან და რადიკალურად განსხვავებულ ექსპერტიზას მოითხოვს.³⁸ ამასთან, სამსახურის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის მონიტორინგი ძირითადად ფორმალური ხასიათისაა (დოკუმენტების შედარება, ელექტრონულ სისტემაში შეყვანა და სხვ.) კომისიის შეფასებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მონიტორინგს უფრო ეფექტიანად მოახერხებდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან კოორდინაციით. შესაბამისად, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს კანონმდებლობაში ისეთი მექანიზმის გათვალისწინებას, რომელიც ამ კომპეტენციას ორივე სამსახურს ერთობლივად მიანიჭებს.³⁹

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან მიმართებით ვენეციის კომისიის მიერ დასახელებული ძირითადი პრობლემურ საკითხები სწორედ ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების კონტროლს უკავშირდება, კანონპროექტი ამ მიმართულებით საერთოდ არ ითვალისწინებს ცვლილებას. საკანონმდებლო ინიციატივა ვენეციის კომისიის არც სხვა რეკომენდაციებს პასუხობს, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის უფლებამოსილებების განსაზღვრასა და მისი მოადგილეების დანიშვნის პროცედურებს ეხება.⁴⁰

დასკვნა

ვენეციის კომისია აჯამებს ათ ძირითად რეკომენდაციას სამსახურების ანგარიშვალდებულების გასაზრდელად, ესენია:

1. სამსახურების ინიციატივით სპეციალური ანგარიშების გამოქვეყნების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
2. სამსახურების უფროსების კანდიდატების შერჩევითვის კვოტის გაზრდა დამსწრეთა უმრავლესობიდან სრული შემადგენლობის უმრავლესობამდე;
3. კომისიის საქმიანობის წესებისა და კანდიდატების შერჩევის დეტალური პროცედურის მოწესრიგება საკანონმდებლო დონეზე;
4. მოსაზრებაში წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინება დანიშვნის პროცედურასთან დაკავშირებით (მათ შორის სამსახურების უფროსის მოადგილეების საკვალიფიკაციო მოთხოვნების კანონმდებლობით გაწერა);

³⁷ იქვე, პარა. 106.

³⁸ იქვე, პარა. 110.

³⁹ იქვე, პარა. 112.

⁴⁰ იქვე, პარა. 120.

5. სამსახურების უფროსების იმუნიტეტის მოსახსნელად დეპუტატების საჭირო ხმათა ოდენობის გაზრდა, მათ შორის, იმუნიტეტი გავრცელდეს მოადგილეებსა და გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობის პირებზე
6. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილებების გადახედა და საჭიროების შემთხვევაში, პროკურატურის ზოგიერთი უფლებამოსილების მინიჭება უწყებისთვის (მათ შორის გამოძიების დაწყების და შეწყვეტის უფლებები);
7. ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის ყველა შემთხვევაში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციის გავრცელება სამართალდამცავი ორგანოების მაღალი თანამდებობის პირებზე (განსაკუთრებით გენერალურ პროკურორზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსსა და შინაგან საქმეთა მინისტრზე);
8. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების მონიტორინგის კომპეტენციის მინიჭება პერსონალურ მონაცემთა სამსახურისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის ერთობლივად;
9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების ფარგლების განსაზღვრა პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპების დარღვევისთვის;
10. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის მიერ შემოთავაზებული სხვა ცვლილებების ასახვა, მათ შორის: პოლიციის/უსაფრთხოების საკითხებში მონაცემთა დაცვის მონიტორინგისთვის სპეციალიზებული საზედამხებლო ორგანოს გათვალისწინება, კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანი ტერმინოლოგიის დაზუსტება და სხვა.

კომისიის მიერ განსაზღვრული ათი რეკომენდაციიდან საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი მხოლოდ ოთხს ითვალისწინებს. ამასთან, საკანონმდებლო ინიციატივა, მეტწილად, ფორმალურ (ვადებსა და კვოტებთან დაკავშირებულ) და არაარსებით საკითხებზეა კონცენტრირებული და რეგულირების მიღმა ტოვებს უფრო მნიშვნელოვან - სამსახურების ინსტიტუციური დამოუკიდებლობისკენ მიმართულ რეკომენდაციებს. არსებული კონტექსტის და საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, ამ საკითხებზე სისტემური რეფორმების გატარება, რომელიც უპასუხებს თანამონაწილეობის და ანგარიშვალდებულების პრინციპებს.